საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 23

2020 წ. "09" 03

ქ.თბილისი

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22 მუხლის 3^3 პუნქტისა და „აკრედიტაციის დებულების" 27^6 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება არ შეიძლება მიღებულ იქნეს ზედიზედ ორჯერ.

1.3. „აკრედიტაციის დებულების" საბჭო 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ.

თავმჯდომარე

მდივანი

1.4. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კარგავს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლებას;

ბ) ის სტუდენტი, რომელიც სწავლობდა სახელმწიფო დაფინანსებით, უფლებამოსილია გადავიდეს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების დარჩენილი ოდენობა გადაიტანოს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წყვეტს რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. ამ შემთხვევაში სტუდენტებს 5 წლის განმავლობაში უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და უფლებამოსილი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 19 აგვისტოს სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №01-03/300 სააკრედიტაციო განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის №1063741) "ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 09 სექტემბრის №799 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 26 ნოემბრის №1143 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 16 დეკემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 24 თებერვალს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

თავმჯდომარე

მდივანი

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 09 მარტს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაციები, თუმცა საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

2.5. საბჭომ საქმის მასალების შესწავლისა და ზეპირი მოსმენის შედეგად მიიჩნია, რომ 2.3. კომპონენტი - "სასწავლო კურსი" ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

2.6. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) პროგრამის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

ბ) შემუშავდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;

გ) სასწავლო კურსს ,,სტატისტიკა მენეჯერებისათვის" კურსის მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე წინაპირობად განესაზღვროს კალკულუსი - 2;

დ) სასწავლო კურსს ,,კვლევის მეთოდები" წინაპირობად განესაზღვროს ,,სტატისტიკა მენეჯერებისათვის";

ე) დაკონკრეტდეს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა და იგი განისაზღვროს სავალდებულო კომპონენტების შესრულებით;

ვ) საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამის განვითარების მიზნით უზრუნველყოს დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა;

თავმჯდომარე

მდივანი

Kikvadze

ზ) სასწავლო კურსების სილაბუსებში (მაგალითად, ,,სპორტში ფონდებისა და ინვესტიციების მოზიდვა", ,,ინოვაციური პროცესების მართვა სპორტში") გადაიხედოს ძირითადი ლიტერატურა და მოვიდეს შესაბამისობაში კურსის მიზანთან;

თ) დაწესებულებამ უზრუნველყოს სპორტის მიმართულების კურსების ძირითადი ლიტერატურის თარგმანი;

ი) დაწესებულებამ ხელი შეუწყოს სტუდენტებისათვის სათანადო სივრცის შექმნას, სადაც შესაძლებელი იქნება ბიზნეს იდეების, პროექტების პრაქტიკაში რეალიზება;

კ) სასწავლო კურსების სილაბუსებში დაკონკრეტდეს სწავლება/სწავლის მეთოდების სემინარის ფარგლებში განსახორციელებელი შესაბამისი აქტივობები;

ლ) დაწესებულებამ ეფექტიანად გამოიყენოს არსებული საერთაშორისო კონტაქტები და მოახდინოს სტუდენტების წახალისება საერთაშორისო მობილობაში და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით;

მ) უნივერსიტეტმა წაახალისოს სტუდენტთა ადგილობრივ პროექტებში, კონფერენციებში, ტრენინგ-სემინარებსა და პრაქტიკებში ჩართულობა;

ნ) გაიზარდოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი აქტივობები;

ო) განისაზღვროს პროგრამის ბიუჯეტი, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი პროგრამის რეალიზებისთვის და მისი მდგრადი განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები;

პ) სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე, განისაზღვროს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რაოდენობის ლიტერატურა;

რ) დაწესებულებამ გამოიყენოს გარე შეფასების მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის დახვეწას და კონკურენტუნარიანობის ზრდას;

ჟ) პროგრამის მონიტორინგის და ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით ჩატარდეს შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან;

ს) განახლდეს პროგრამის მიზნების მიღწევისთვის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის.

2.8. საბჭომ მიიჩნია, რომ სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს დამატებით უნდა მიეცეს შემდეგი რეკომენდაციები:

ა) სპორტის მენეჯმენტის სპეციფიკიდან გამომდინარე სასწავლო კურსებში გათვალისწინებულ იქნას სპორტის სფეროსთან დაკავშირებული პრაქტიკული მაგალითების განხილვა;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის კომუნიკაციის, მართვის კომპონენტებში თემატიკა ითვალისწინებდეს თანამედროვე მიდგომებს, მაგალითად სოციალური ქსელების გამოყენების შესაძლებლობებს;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის სამართლებრივი რეგულირების სასწავლო კურსი ითვალისწინებდეს სპორტის სფეროში მოქმედ მარეგულირებელი აქტების, ნორმების სწავლებას, მაგალითად დოპინგთან, არბიტრაჟთან, გასაჩივრების წესებთან და პროცედურებთან, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთ საკითხებზე, რომელსაც უშუალოდ პრაქტიკაში გამოიყენებენ სფეროში დასაქმებული სპეციალისტები;

თავმჯდომარე

მდივანი

დ) საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ საგანთა უმრავლესობა არ ითვალისწინებს სასპორტო სფეროს სპეციფიკას, მაგალითად მარკეტინგში, მენეჯმენტში და სხვა. შესაბამისად, ისევე როგორც ზოგადი მენეჯმენტი, ასევე, სასპორტო სპეციფიკის სწავლებაც უნდა იქნეს გათვალისწინებული;

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 3^3 პუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. უარი ეთქვას დანართი №1-ით გათვალისწინებულ სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 09 მარტის №06 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს - 2020 წლის 12 მარტი.

5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი ნიკოლოზ კიკნაძე

თავმჯდომარე

მდივანი

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 07 მარტი №63
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი[7]	0203
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 0162, ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი №49,
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 12 მარტი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	-
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი